როგორ თბება პინგვინი?

გაიხსენე, რა იცი პინგვინის შესახებ. წაიკითხე ტექსტი და გაიგე, რას აკეთებს პინგვინი, როცა ძალიან ცივა.

პინგვინი დიდი ფრინველია. თუმცა მან ფრენა არ იცის. ის კარგად ცურავს. წყალში მას ბევრი საკვები აქვს, ამიტომ მეტ დროს იქ ატარებს.

პინგვინს ზურგი შავი აქვს, მუცელი – თეთრი. ცურვის დროს წყალში არც კი ჩანს. ამის გამო პინგვინი **ადვილად** ეპარება თევზს. მტერიც ძნელად ამჩნევს მას.

ყინვა და ქარი პინგვინს არ აშინებს. მას თბილი ბუმბული და კანის ქვეშ ქონის სქელი ფენა აქვს. როცა ძლიერი ყინვაა, 300-400 პინგვინი ერთად იკრიბება. ისინი ძალიან ახლოს დგებიან ერთმანეთის გვერდით. ასე კრავენ წრეს. შუაში კი თავიანთ ბარტყებს აყენებენ. წრე ნელა, მაგრამ სულ ტრიალებს. ამ დროს წრის შუაში სითბო 35 გრადუსია. ასე თბებიან პინგვინები ძლიერი ყინვის დროს.

რა გაიგე პინგვინების შესახებ ახალი?

დონე: A გარდამავალი, **კომპონენტი:** პრობლემის გადაჭრა

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 პირველ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, თუ:

ა) რატომ არის პინგვინი ფრინველი.

ბ) რატომ არ იცის პინგვინმა ფრენა.

გ) რატომ ატარებს პინგვინი მეტ დროს წყალში.

2 პინგვინის შავ-თეთრი შეფერილობის გამო:

ა) მას თითქმის არასდროს სცივა.

ბ) მას მტერი ძნელად ამჩნევს.

გ) ის დიდხანს ჩერდება წყალში.

3 ძლიერი სიცივის დროს პინგვინი ყველაზე მეტად ზრუნავს:

ა) თავის ბარტყზე.

ბ) საკუთარ თავზე.

გ) საკვების შოვნაზე.

4 როგორ თბებიან პინგვინები ძლიერი სიცივის დროს?

ა) ისინი ერთმანეთის ახლოს დგებიან.

ბ) ისინი თევზებზე იწყებენ ნადირობას.

გ) ისინი დიდხანს რჩებიან წყალში.

▶▶▶ ლექსიკა

1 შემოხაზე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

1. პინგვინი **ადვილად** ეპარება თევზს.

   ა) იოლად. ბ) მოულოდნელად. გ) ნელა.

2 ხაზებით დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები.

ქონი	საჭმელი
ფენა	ცხიმი
საკვები	შრე

3 რომელია საპირისპირო მნიშნელობის სიტყვები?

ა) დიდი – მოზრდილი. ბ) სქელი – თხელი. გ) ძნელი – რთული.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

1. პინგვინს ---------- არ აშინებს.

   ა) ქარი. ბ) ქარმა. გ) ქარს.

2. პინგვინი ---------- ეპარება.

   ა) თევზი. ბ) თევზმა. გ) თევზს.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

2. პინგვინს ---------- ბარტყი. ***(აქვს/ჰყავს)***

3 ნიმუშის მიხედვით დაასრულე სიტყვები.

ნიმუში: კარგი – კარგად.

1. ადვილი – ადვილ. . . 2. ძნელი – ძნელ. . .

გრამატიკა

4 რომელია სწორი?

1. ა) ერთათ. ბ) ერთად.
2. ა) ბევრი პინგვინი. ბ) ბევრი პინგვინები.

წერა

1 დაწერე, რა არის პინგვინებისთვის ყველაზე დიდ პრობლემა. როგორ ეხმარებიან ისინი ერთმანეთს ამ პრობლემის დროს?

_____

_____

_____

_____

_____

_____

2 გაიხსენე, როგორია ზამთარი შენს კუთხეში. დაწერე, როგორ თბები ყინვის დროს.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____